

თბილისის ვანო სარაჯიშვილის  
სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ხელნაწერის უფლებით

**მაკა ხარძიანი**

**ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ  
ფოლკლორში**

მუსიკოლოგიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად  
წარმოდგენილი დისერტაციის

**ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი**

ეთნომუსიკოლოგია

თბილისი, 2010 წელი

სამეცნიერო ხელმძღვანელი

**რუსუღან ვურჯუშია,**

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
სრული პროფესორი

ექსპერტები:

**ნინო მაისუჩაძე,** ისტ. მეცნ. დოქტორი,  
პროფესორი

**თამაზ ბაბისონია,** მუსიკოლოგიის  
დოქტორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2010 წ. 12 თებერვალს, 14 სთ.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის სადისერტაციო საბჭოს  
სხდომაზე № \_\_\_\_\_

მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. №8

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია,  
კამერული დარბაზი (№ 307)

სადისერტაციო ნაშრომის და ავტორეფერატის გაცნობა  
შესაძლებელია თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის  
სახელმწიფო კონსერვატორიის ბიბლიოთეკაში და  
კონსერვატორიის ვებ-გვერდზე <http://www.conservatoire.edu.ge/>

სადისერტაციო საბჭოს  
სწავლული მდივანი

---

**მარიკა ნაღარეიშვილი,**  
მუსიკოლოგიის დოქტორი,  
ასოც. პროფ.

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

**თემის აქტუალობა:** დღეს, როდესაც მსოფლიოში სწრაფი ტემპით მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის გამო საფუძვლიანად იცვლება ტრადიციული საზოგადოებების ცხოვრების წესი, აზროვნება, დავიწყებას ეძლევა უძველესი ტრადიციები, როცა საყოველთაო მედია-ქსელმა ჩვენი პლანეტის სხვადასხვა წერტილები ისე დააკავშირა, რომ შეუქცევადი ხასიათი მისცა მსოფლიოს კულტურული გაერთიანების პროცესს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება. იქმნება აუცილებლობა, ყველა ეთნოსმა შეისწავლოს თავისი წარსული – ისტორია, კულტურა, ტრადიციები და ა.შ., რომ უკეთ გაიაზროს აწმყო და იფიქროს მომავალზე.

ამ ფონზე, ადამიანები სულ უფრო მეტ დაინტერესებას იჩენენ XXI საუკუნეში ჯერ კიდევ შემორჩენილი უნიკალური მემკვიდრეობისადმი. განსაკუთრებით დიდია ინტერესი არამატერიალური კულტურისადმი, რაც **იუნესკოს** სპეციალური დეკლარაციითაც აღინიშნა. ამ მემკვიდრეობაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ზეპირი ტრადიციის მუსიკას, რომლის ჩაწერა უახლესი ტექნიკური საშუალებებით გადაუდებელ ამოცანადაა მიჩნეული. სწორედ ამიტომ განახორციელა **იუნესკომ** „ქართული პოლიფონიის დაცვისა და განვითარების“ პროგრამა, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანი ქართული მუსიკალური ფოლკლორის ციფრული მონაცემთა ბაზის შექმნა იყო. საქართველო ერთ-ერთია იმ მცირერიცხოვან ქვეყანათაგან, სადაც ჯერ კიდევ ცოცხლადაა შემონახული ტრადიცია, რის გამოც, მიუხედავად სხვადასხვა სახის სირთულეებისა, არ წყდება უცხოელ მუსიკისმოყვარულთა ნაკადი, რომელთაც ანდამატივით იზიდავს ქართული მრავალხმიანობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კი ის ყურადღებაა, რომელსაც უცხოელი ეთნომუსიკოლოგები იჩენენ, მათივე სიტყვებით, ამ

უნიკალური ფენომენისადმი. ამას ადასტურებს თბილისის ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმებიც, რომლებიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პერიოდულად იმართება და რომლის მონაწილეები, ცნობილი უცხოელი ეთნომუსიკოლოგები, ქართულ მრავალხმიანობაზე თავიანთი კვლევის შედეგებს წარმოადგენენ.

სვანეთი საქართველოს გამორჩეული კუთხეა, რომელმაც თავისი გეოგრაფიული მდებარეობის, კლიმატური პირობების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და ტრადიციის შენარჩუნებისაკენ მიმართული ორიენტაციის გამო, ხანგრძლივი დროის მანძილზე დაიცვა და ცოცხლად შემოინახა ქართველთა ძირძველი რწმენა-წამოდგენები, ტრადიციული ყოფა და წეს-ჩვეულებები, მათ შორის, ნადირობის უძველესი ტრადიციაც და მასთან დაკავშირებული მუსიკალური ფოლკლორის უძველესი ნიმუშებიც. ზ. ფალიაშვილი ჯერ კიდევ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე აღნიშნავდა, რომ „სხვა ქართველი ტომების სიმღერებთან შედარებით, სვანური სიმღერები უფრო შეუბღალავად არიან დაცული“.

ამ კულტურის შესწავლა საშური საქმეა, სანამ იგი ცოცხალია და ჯერ კიდევ დაცული თანამედროვე ტენდენციების ზეგავლენისაგან.

**კვლევის საგანია** სვანური სამონადირეო კულტურა, როგორც სტრუქტურა, რომელიც მოიცავს სამონადირეო ტრადიციებსა და ნადირობასთან დაკავშირებულ მუსიკალურ ფოლკლორს.

**პრობლემის შესწავლის დონე:** ნადირობის თემა და მასთან დაკავშირებული მხატვრული შემოქმედების ნიმუშები სხვადასხვა დროისა და მიმართულებების არაერთი მკვლევრის ყურადღების საგანი გამხდარა. მხედველობაში მაქვს ეთნომუსიკოლოგების, ანთროპოლოგების, ეთნოლოგების, ეთნოგრაფების, არქეოლოგების, ენათმეცნიერების, ფილოლოგების, ისტორიკოსების, ქორეოლოგების სხვადასხვა მასშტაბისა და სიღრმის ნაშრომები.

შედგებად, სახეზეა ამ საკითხის სხვადასხვა კუთხით განხილვის ცდები; შესწავლილია მისი მუსიკალური, ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიული, ისტორიული, ლიტერატურული, ენათმეცნიერული და სხვა ასპექტები, რის საფუძველზეც გაკეთებულია არაერთი მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელი დასკვნა. ამასთან, სვანური დიალექტისადმი მიძღვნილი ეთნომუსიკოლოგიური ნაშრომები, ბუნებრივია, ძირითადად მუსიკალურ ასპექტებზეა ორიენტირებული, სხვა სფეროების მკვლევართა ნაშრომები კი ამ ასპექტებს არ ითვალისწინებს.

მასალის საფუძველიანმა გაცნობამ დისერტანტი დაარწმუნა, რომ ცალკე აღებული ვერც მუსიკალურ-ფოლკლორისტული, ვერც ეთნოგრაფიულ-ეთნოლოგიური, ისტორიული და ა.შ. მიდგომებით ვერ მოხერხდება საკვლევი თემის სრულფასოვანი შესწავლა, ამიტომ აუცილებელია ამ სფეროების კვლევის შედეგების შეჯერება და მოვლენის კომპლექსური, ინტერდისციპლინური კვლევა, რაც თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის მეთოდოლოგიის ამოსავალია. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ წინამდებარე საკვალეფიკაციო შრომა, არსებითად, ეძღვნება სვანურ სამონადირეო კულტურას, რომელიც წარმოადგენს რთულ, სინკრეტულ მოვლენას, სვანების მსოფლადქმას, ყოფაში არსებულ ტრადიციებსა და მათი მხატვრულ-მუსიკალური აზროვნების ნიმუშებს რომ აერთიანებს.

ამგვარად, დისერტანტის მიზანია, შეისწავლოს სვანური მუსიკალური ფოლკლორი ფართო სოციო-კულტურულ კონტექსტში. ამისათვის საჭიროა, ეთნომუსიკოლოგიაში და მის მომიჯნავე ჰუმანიტარულ დისციპლინებში დაგროვილი ცოდნის შეჯერება, მისი გამდიდრება საკუთარი ემპირიული დაკვირვების, ეთნოფორებისაგან მოძიებული და, აგრეთვე, სხვადასხვა არქივში მიკვლეული მასალების კვლევის შედეგებით; შეგროვილი მასალის წარმოდგენა როგორც სინქრონულ, ისე დიაქრონულ ჭრილში, ერთი სიტყვით, საკვლევი ობიექტის კომპლექსური, ინტერდისციპლინური შესწავლა.

ნაშრომი ასევე მიზნად ისახავს ქართულ ფოლკლორისტიკაში აქამდე შეუსწავლელი სვანური სამონადირეო სიმღერების სამეცნიერო მიმოქცევასა და პრაქტიკაში დამკვიდრებას.

**ნაშრომის მეცნიერული სიახლე.** წარმოდგენილი საკვალთმეცნიერო ნაშრომი „ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში“ წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას სვანური სამონადირეო კულტურის შესახებ. ამდენად, მისი სიახლე, პირველ რიგში, საკვლევი მოცემულობისადმი დამოკიდებულებაშია. სვანური მუსიკალური ფოლკლორი და, კონკრეტულად, მისი უძველესი შრე – სამონადირეო ფერხულები, მდიდარ მასალას იძლევა, რათა შესწავლილ იქნას თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით. შესაბამისად, სვანურ სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორი განხილულია, როგორც სინკრეტული მოვლენა, რომელიც მოიცავს სოციო-კულტურულ კონტექსტსა და ვერბალურ-მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ტექსტს. მართალია, კვლევის კონკრეტული საგანია ნადირობის თემა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში, მაგრამ ნაშრომის ავტორის ამოცანას შეადგენს არამარტო ნადირობასთან დაკავშირებული ფოლკლორული მუსიკის ნიმუშების შესწავლა, თუნდაც, ეთნოგრაფიულ კონტექსტში, არამედ სვანური სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის შესწავლა ამ ეთნოსის მსოფლხედვის, კულტურის, საზოგადოებრივი პრინციპების, ცნობიერების, ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია სვანების, როგორც უძველესი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის მიერ შექმნილი სამყაროს მუსიკალური სურათის აღქმა.

როგორც საკითხის კვლევის ისტორიიდან გამოიკვეთა, სვანური სამონადირეო ტრადიციები და მათთან დაკავშირებული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები ფართო სოციო-კულტურულ კონტექსტში სპეციალური კვლევის საგანი არ გამხდარა. ამგვარად, წინამდებარე ნაშრომი სვანური სამონადირეო კულტურის, როგორც

ინსტიტუციური მოვლენის ეთნომუსიკოლოგიური კვლევის პირველ ცდას წარმოადგენს. ამასთან, იმ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლის საფუძველზეც წინამდებარე ნაშრომი შეიქმნა, მოპოვებულია თვით მკვლევრის მიერ უშუალოდ სვანი მონადირეების, მათი შთამომავლებისა და სვანი მომღერლებისაგან.

როგორც ცნობილია, საზოგადოდ, ეთნომუსიკოლოგიაში, მიღებულია, ე.წ. „მეორე მშობლიური ენის“ თეორია. მკვლევარი ვაღდებულისა, შეისწავლოს იმ ეთნოგრაფიული ჯგუფის ენა, რომელსაც იკვლევს. ცხადია, არც ერთი ქართველი ეთნომუსიკოლოგისათვის არ წარმოადგენს პრობლემას სვანური სასიმღერო დიალექტის შესწავლა, მაგრამ დისერტანტს, როგორც ეთნიკურად ამ კულტურის მატარებელს და, შესაბამისად, სვანური ენის საფუძვლიანად მცოდნეს, მეტი შესაძლებლობა და მოტივაცია აქვს მის შესასწავლად, მით უფრო, რომ, ბავშვობის ასაკიდან მოყოლებული, იგი თავად იყო სვანურ ყოფაში დამკვიდრებული არაერთი წეს-ჩვეულების (მათ, შორის, სამონადირეო) შესრულების მომსწრე სვანეთში ყოფნისას. ამგვარად, მისთვის ახლობელი და მშობლიურია როგორც სვანური ვერბალური ტექსტი, ისე მისი ტრადიციული კონტექსტიც. მოვლენის სიღრმისეული წვდომა მასთან უშუალო კონტაქტის გზით კი თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიური კვლევის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

ჩვენამდე მოღწეული სამონადირეო მუსიკალურ-ფოლკლორული ნიმუშების რიცხვი დიდი არ არის და მით უფრო სამწუხაროა, რომ მათი ნაწილი მხოლოდ ტექსტების სახითაა შემორჩენილი. ნაშრომის სიახლეს ამ კუთხით წარმოებული კვლევაც წარმოადგენს. მხედველობაშია, ერთი მხრივ, აღნიშნული ნიმუშების მუსიკალური ტექსტების მოპოვების, მეორე მხრივ კი, არსებული სიმღერების შეძლებისდაგვარად ბევრი და, ამასთანავე, ნაკლებად ცნობილი ან აქამდე უცნობი ვარიანტების მოძიების მცდელობა. პირველი საკითხის მოგვარება შეუძლებელი აღმოჩნდა აუდიო მასალის უშუალოდ

ეთნოფორებისაგან მოპოვების გზით, რადგან ნაშრომის ავტორის მიერ მოწყობილი ექპედიციების შედეგად სვანებით დასახლებულ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ქალაქ დმანისში, საგარეჯოს რაიონის სოფ. უდაბნოში, გარდაბნის რაიონის სოფ. ლემშეენიერაში, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ჭივჭავში და ა.შ.), ამ სიმღერების მცოდნე არავინ აღმოჩნდა (საუბარია სიმღერებზე: „თვეთნე მანგურ“, „მეთხვქ•რ მაარე“, „ქებული თაბი გოშთელიანი“, „მეთხვქ•რ ჩორლაქ“, „ქალაქ“). თუმცა, სხვა სიმღერების კვლევის პროცესში, სხვადასხვა მკვლევართა საარქივო მონაცემებისა და ავტორის დაკვირვებების საფუძველზე, ლოგიკურად გამოიკვეთა რამდენიმე ნიმუშის სავარაუდო მუსიკალური ტექსტი.

აღსანიშნავია, რომ სვანური სამონადირეო ფერხულების კლასიფიკაცია ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში აქამდე არ მომხდარა. მათი სინკრეტული ბუნებიდან გამომდინარე, დისერტანტი კლასიფიკაციას ახდენს ვერბალური ტექსტის შინაარსის, მუსიკალური გამომსახველობის ხერხებისა და ქორეოგრაფიული წყობის გათვალისწინებით. ისევე, როგორც საჭიროა სვანური სამონადირეო ფერხულების კომპლექსურად შესწავლა ნადირობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებთან ერთად, დისერტანტის აზრით, ასევე აუცილებელია მათი პოეტური, მუსიკალური და ქორეოგრაფიული წყობის კომპლექსური კვლევა.

ნაშრომი იფარგლება ძირითადად სვანური სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების შესწავლით. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის პროცესში დაგროვდა დიდძალი მასალა სამონადირეო ტრადიციების ირგვლივ, როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ასევე ჩრდილოკავკასიურ ხალხებში, ნაშრომში არ შევიდა ამ მასალის შედარებითი კვლევა. არანაკლებ საინტერესოა მსოფლიოს იმ ხალხთა სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის შესწავლაც, სადაც ნადირობა დღემდე რჩება მეურნეობის ქმედით დარგად. ეს მომავალი კვლევის საგანია.



**კვლევის მეთოდოლოგია.** ფოლკლორის სინკრეტული ბუნება და მრავალშრიანი სტრუქტურა განსაზღვრავს კომპლექსური ანალიზის მეთოდების გამოყენებას. დისერტანტი მიმართავს, ასევე, ისტორიულ-შედარებითი, სისტემური და სტრუქტურულ-ტიპოლოგიური ანალიზის ხერხებს. ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზა ემყარება, როგორც ქართული მუსიკის თეორიის, ისტორიისა და ფოლკლორისტიკის, ისე რუსული ფოლკლორისტიკის, დასავლური ეთნომუსიკოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის გამოცდილებას. თანამედროვე ეთნომუსიკოლოგიის პრიორიტეტების შესაბამისად, კვლევის პროცესში ნაშრომის ავტორი ეყრდნობა მუსიკოლოგიის მომიჯნავე ჰუმანიტარული სამეცნიერო დისციპლინების – ანთროპოლოგიის, ეთნოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერებისა და ა.შ. კვლევის მეთოდებსა და შედეგებს, რაც სვანური სამონადირეო ფოლკლორის ინტერდისციპლინური მიდგომებით შესწავლის საშუალებას იძლევა.

უშუალოდ მუსიკალურ-გამომსახველობით საშუალებებზე საუბრისას მკვლევარი უპირატესობას ანიჭებს, ერთი მხრივ, ინტონაციური ანალიზისა და მეორე მხრივ, ერთიანი, მთლიანი ანალიზის ხერხებს.

**ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება** განისაზღვრება იმ მეცნიერული დებულებებით, რომლებიც კვლევის შედეგად იქნა მიღებული. მას აქვს წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობაც. გამოკვლევა დაეხმარება სვანეთის ეთნომუსიკოლოგიური კუთხით შესწავლით დაინტერესებულ პირთ. დისერტაციაა შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული ქართული ხალხური მუსიკალური ფოლკლორის სასწავლო კურსში სვანური დიალექტის შესწავლისას. გარდა ამისა, ნაშრომს ქართული ეთნომუსიკოლოგიური მეცნიერების მიმოქცევაში შემოაქვს აქამდე შეუსწავლელი სვანური სამონადირეო სიმღერები.

დისერტაციის წყაროთმცოდნეობითი ბაზა, სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად, მოიცავს სხვადასხვა სანოტო კრებულსა და სამეცნიერო ნაშრომში გამოქვეყნებულ სანო-

ტო მაგალითებს, ასევე დისერტანტის მიერ ნოტირებულ მასალას. გამოყენებულია თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიის (ქსმშლ), საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის, ტელერადიო დეპარტამენტის „ოქროს ფონდის“, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის, შ. რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ხელნაწერები და ფონოჩანაწერები, დისერტანტის მიერ ექსპედიციებში სხვადასხვა დროს უშუალოდ ეთნოფორებისაგან ჩაწერილი აუდიო და ვიდეო მასალა.

**ნაშრომი აპრობირებულია** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებაზე. მისი ძირითადი დებულებები გამოქვეყნებულია ტრადიციული მრავალხმიანობის I და III საერთაშორისო სიმპოზიუმის მოხსენებებში (2002, 2004 წ.წ.); საქართველოს შ. რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პერიოდულ ჟურნალში „სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი“ (2009წ).

**ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა:** დისერტაცია შეიცავს 172 ნაბეჭდ გვერდს და შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან, შესაბამისი პარაგრაფებითა და ქვეთავებით. I თავი – „სვანური სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის კვლევის ეთნომუსიკოლოგიური ასპექტები“ მოიცავს ორ პარაგრაფს: §1. საკითხის შესწავლის ისტორია; §2. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები; II თავი – „სამონადირეო ტრადიციები სვანეთში“ მოიცავს ოთხ პარაგრაფს: §1. სამონადირეო ტრადიციების სტრუქტურა; §2.1. ნადირობასთან დაკავშირებული უძველესი (ქრისტიანობამდელი) რწმენა-წარმოდგენები; §2..2. ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანულ ეპოქაში; §3. სამონადირეო წეს-ჩვეულებები; §4. სამონადირეო ტრადიციების ასახვა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში; III თავი – „სამონადირეო

ცეკვიდან ფერხულამდე?"; IV თავი – „სვანური სამონადირეო სიმღერები“, რომელიც მოიცავს სამ პარაგრაფს: §1. ვერბალური ტექსტის შინაარსი; §2. მუსიკალური გამომსახველობის ხერხები. ეს პარაგრაფი ორი მონაკვეთისაგან შედგება: 1. შესრულების ფორმა; 2. მუსიკალური ენა. §3. ქორეოგრაფიული წყობა. ნაშრომის დასკვნებში კვლევის შედეგებია შეჯამებული.

ლიტერატურის სია შეიცავს 188 დასახელებას.

ნაშრომს ახლავს ოთხი დანართი: I (ტექსტები) – სიმღერების სვანური ტექსტები ქართული შესატყვისებით და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები (30 ნიმუში); II (ნოტები) – სხვადასხვა მუსიკალურ კრებულებში გამოქვეყნებული და დისერტანტის მიერ ნოტირებული სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები (სულ 46 ნიმუში); III (ილუსტრაციები) – უძველესი მატერიალური კულტურის ძეგლთა ილუსტრაციები სამონადირეო ცეკვებისა და ფერხულების გამოსახულებით (8 ნიმუში); IV (აუდიო) – სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის აუდიო ნიმუშები კომპაქტ-დისკზე (20 ნიმუში). დანართს ახლავს გამოყენებული მასალებისა და მათი წყაროების ნუსხა.

## **ნაშრომის შინაარსი**

**თავი I. სვანური სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორის კვლევის ეთნომუსიკოლოგიური ასპექტები** მოიცავს ორ პარაგრაფს.

### **§1. „საკითხის შესწავლის ისტორია“.**

მიუხედავად იმისა, რომ სვანეთის კვლევას ბუნების სიშველი იმთავითვე დიდ პრობლემებს უქმნიდა, (გზამ მხარეში მხოლოდ ზაფხულობით – 3-4 თვე იხსნებოდა, დანარჩენ დროს იგი თოვლით იყო ჩაკეტილი), ქართულ მეცნიერებაში ეს კუთხე საკმაოდ საფუძვლიანადაა შესწავლილი, როგორც ეთნოგრაფიული, ისე

ისტორიული, არქეოლოგიური, ლიტერატურული, ენათმეცნიერული, ფოლკლორისტული თვალსაზრისით.

სვანეთისადმი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში არამხოლოდ ქართველთა, არამედ უცხოელ მეკვლევართა მხრიდანაც. სხვადასხვა წლებში ამ კუთხეში იმოგზაურეს: ს. ტანევემა, ვ. ტეპცოვმა, დ. არაყიშვილმა, მ. ბალანჩივაძემ, ზ. ფალიაშვილმა, მოგვიანებით – შ. ასლანიშვილმა, შ. მშველიძემ, ვ. ახოზაძემ და სხვებმა, რომელთაც უძვირფასესი ფონომასალა ჩაწერეს და არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს ამ კუთხის ფოლკლორს.

სვანური სიმღერების მეცნიერული შესწავლისა და კვლევის პირველი ცდები ეკუთვნის ქართული მეცნიერული ფოლკლორისტიკის მამამთავარს – დიმიტრი არაყიშვილს, რომლის გამოკვლევამ „სვანური ხალხური სიმღერები“<sup>1</sup> მნიშვნელოვანწილად მისცა გეზი ამ კუთხის მრავალმხრივ მეცნიერულ შესწავლას. თითქმის საუკუნის წინ მეცნიერმა წინასწარ განჭვრიტა მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის კომპლექსური, ინტერდისციპლინური მეთოდი, რომელიც საფუძვლად დაედო წარმოდგენილ ნაშრომს.

სვანური მუსიკალური ფოლკლორის ჩაწერისა და შესწავლის სერიოზული ცდა ეკუთვნის ზ. ფალიაშვილს.<sup>2</sup> როგორც კომპოზიტორი, იგი სვანური სიმღერების მხოლოდ მუსიკალური სტრუქტურით უნდა დაინტერესებულიყო, თუმცა იმთავითვე გამოავლინა მოვლენის ხედვის სიფართოვე. არაყიშვილის მსგავსად, ზაქარია ფალიაშვილიც სვანური ფოლკლორის ფართო სოციო-კულტურულ ასპექტში შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს და ასევე სახავეს გზას ამ მოვლენის ეთნომუსიკოლოგიური კვლევისათვის.

---

<sup>1</sup> არაყიშვილი დ. *სვანური ხალხური სიმღერები*. თბილისი: გამომცემლობა „სელოვნება“, 1950.

<sup>2</sup> ფალიაშვილი ზ. „ჩემი მოგზაურობა სვანეთში და სვანური სახალხო სიმღერები“. გაზეთი „ივერია“, №175, 1903.

სვანური მუსიკალური ფოლკლორით დაინტერესებული მკვლევრისათვის მრავლისმომცემია ვლ. ახოზაძის „მასალები სვანური ხალხური სიმღერების შესახებ“,<sup>3</sup> რაც ავტორს სვანეთში არაერთგზის მოგზაურობის შედეგად შეუკრიბავს და რაც, მოგვიანებით, მის მიერ ჩაწერილი სვანური ხალხური სიმღერების კრებულს დაერთო შესავლის სახით.<sup>4</sup> საგანგებო ყურადღება მიუქცევია მკვლევარს ბეთქილისა და დალის ისტორიისათვის, ამირანის თქმულებისათვის, შეუკრებია უძველესი და თანამედროვე სამონადირეო სიმღერები (ერთხმიანი) და ფერხულები. შესავალში ვლ. ახოზაძე საინტერესო ცნობებს გვაწვდის სვანური ყოფიდან. კრებული მოიცავს სიმღერების სვანურ ტექსტებს და მათ ქართულ თარგმანს.

არაერთი მკვლევრის ინტერესის საგანი გამხდარა სვანური მუსიკალური დიალექტის საქართველოს სხვა კუთხეთა დიალექტების პარალელურად შესწავლა (მ. ჟორდანიას, კ. როსებაშვილი, ე. გარაყანიძე, ნ. მაისურაძე, მ. შილაკაძე, შ. ძიძიგური, ბ. ჯორბენაძე, ნ. კალანდაძე და სხვ.), სვანური ხალხური სიმღერების მუსიკალური ენის კანონზომიერებების ანალიზი (ქ. არაქელოვი, შ. ასლანიშვილი, ივ. უღენტი, ე. ჭოხონელიძე, ო. ჩიჯავაძე და სხვ.), სვანური მრავალხმიანობის პრობლემები (შ. ასლანიშვილი, გრ. ჩხიკვაძე, მ. ჟორდანიას, მზ. იაშვილი, ე. ჭოხონელიძე, ი. ჟორდანიას, ვლ. გოგოტიშვილი, თ. გაბისონიას, ნ. შველიძე და სხვ.), სვანური ხალხური მუსიკალური საკრავები (ივ. ჯავახიშვილი, მ. შილაკაძე, ო. ჩიჯავაძე, დ. ალავიძე, ა. მსხალაძე და სხვ.), ზოგადად, ქართული და, კონკრეტულად, სვანური ქორეოგრაფიის თავისებურებები (ლ. გვარამაძე, დ. ჯავრიშვილი, ა. თათა-

---

<sup>3</sup> ახოზაძე ვ. მასალები სვანური ხალხური სიმღერების შესახებ. (ხელნაწერი), 1950.

<sup>4</sup> ახოზაძე ვ. ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული. თბილისი: გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1957.

რაძე, დ. ჯანელიძე, გრ. კოკელაძე, მზ. იაშვილი, ა. სამსონაძე, ვ. სამსონაძე და სხვ.).

კონკრეტულად ნადირობისადრე მიძღვნილი ელ. ვირსალაძის „ქართული სამონადირეო ეპოსი“<sup>5</sup> და მ. გურასაშვილის სადიპლომო ნაშრომი „სვანური სამონადირეო ეპოსი“<sup>6</sup>.

ელ. ვირსალაძის ნაშრომში, სხვებთან ერთად, სვანური სამონადირეო ტრადიციები და ფერხულებიცაა აღწერილი, მიმოხილულია ქართველთა რელიგიური რწმენა-წარმოდგენები წარმართობისა და ქრისტიანობის ეპოქაში, ქართული სამონადირეო ეპოსის ნიმუშები განხილულია მსოფლიო ეპოსის ძეგლთა ფონზე, დახასიათებულია ამ ეპოსის გმირები, გაანალიზებულია ნადირობასთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა მხატვრული სახეები.

მ. გურასაშვილის სადიპლომი ნაშრომი „სვანური სამონადირეო ეპოსი“ წარმოადგენს აღწერითი ხასიათის ეთნოგრაფიულ ნარკვევს, რომელშიც დიპლომანტი იფარგლება სამონადირეო ეპოსის შესახებ სხვადასხვა მკვლევართა (ძირითადად – ე. ვირსალაძისა და მ. ჩიქოვანის) მოსაზრებების კონსტატაციით. ავტორი არ განიხილავს სვანურ სამონადირეო ეპოსს მთელი მისი უანრულ-სახეობრივი მრავალფეროვნებით, არ იგრძნობა კავშირი სამონადირეო ტრადიციებსა და ფოლკლორს შორის, თითქმის უგულებელყოფილია საკითხის მუსიკალური მხარე; ყოველივე ამის გათვალისწინებით, მ. გურასაშვილის სადიპლომო ნაშრომი ატარებს არა მონოგრაფიულ, არამედ მიმოხილვით ხასიათს.

გარდა მუსიკოლოგიური ნაშრომებისა, დისერტანტის მიერ გათვალისწინებულია გასული საუკუნეებისა თუ თანამედროვე, ქართველი (მათ შორის, არაერთი სვანი)

---

<sup>5</sup> ვირსალაძე ე. *ქართული სამონადირეო ეპოსი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.

<sup>6</sup> გურასაშვილი მ. *სვანური სამონადირეო ეპოსი*. სადიპლომო ნაშრომი (ხელნაწერი), 1989.

და არაქართველი ეთნოგრაფების, ეთნოლოგებისა და, ასევე, ზოგადად, სვანეთით დაინტერესებული სხვადასხვა პროფესიის ადამიანების ნაშრომები. ის დიდძალი ლიტერატურა, რომელიც ამის შესახებ არსებობს, ცხადყოფს, რომ ფაქტობრივად, ყურადღების მიღმა არ დარჩენილა სვანეთის ისტორიის, გეოგრაფიის, საზოგადოებრივი ყოფისა და კულტურის არცერთი მნიშვნელოვანი მხარე. შესაბამისად, მათ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სვანეთის ირგვლივ ნებისმიერი კვლევის წარმოება.

მიუხედავად ამისა, ზოგადად, სვანური და, კერძოდ, სამონადირეო კულტურის, როგორც ინსტიტუციური მოვლენის შესწავლაში ჯერ კიდევ ბევრი თეთრი ლაქაა, რომლის შევსებას ისახავს მიზნად წარმოდგენილი ნაშრომი.

## **§2. კვლევის მეთოდოლოგიური საფუძვლები**

შესასწავლი ობიექტის ინტერდისციპლინურ კვლევასას ნაშრომის ავტორის ამოსავალი ი. ზემცოვსკის ე.წ. „სინთეტური პარადიგმის“ თეორიაა, რომელიც ცდილობს ერთმანეთს დაუახლოვოს რუსული (შეიძლება ითქვას აღმოსავლეთ ევროპული) ფოლკლორისტიკა (ანუ მუსიკალური ეთნოგრაფია) და დასავლური ეთნომუსიკოლოგია, მისი მოშველიებით „მოარიგოს“ მუსიკალურ-ფოლკლორისტული და ეთნომუსიკოლოგიური მიდგომები. ესაა მრავალმხრივი მოვლენის კვლევის უნივერსალური მეთოდი, რომელიც განსხვავებული აზრების, იდეების, თეორიების, დებულებებისა და ა.შ. მორიგება-შეთავსების გზით საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.<sup>7</sup>

ეთნომუსიკოლოგიური კვლევის წარმოება, თავის მხრივ, წარმოუდგენელია ანთროპოლოგიური (ეთნოლოგიური) მიდგომების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც XIX-

---

<sup>7</sup> Zemtsovsky I. *An Synthetic Paradigm. Ethnomusicology*, 1997. socioculture.googlepages.com

XX საუკუნის ანთროპოლოგიური თეორიების ძირითად დებულებებშია ასახული. ეს თეორიები იმ საზოგადოებების ყოფისა და ტრადიციების შესწავლის საფუძველზეა ჩამოყალიბებული, რომლებიც დღემდე რჩებიან განვითარების იმ საფეხურზე, რომელზეც იმყოფებოდა სვანური საზოგადოება, როცა ნადირობას, და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებების შესრულებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.

ეთნოგრაფიული მონაცემები ასტურებს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე სვანურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერი იყო გვაროვნული და თემური ურთიერთობები, უძველესი რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები.

ასეთი საზოგადოების კულტურის კვლევისათვის აქტუალურია ევოლუციონისტური, დიფუზიონისტური და სტრუქტურალისტური თეორიები, რომელთაგან ნაშრომის ავტორი მიმართავს და ერთმანეთთან აჯერებს კვლევისათვის საჭირო დებულებებს და ე.წ. „სინთეტური პარადიგმის“ პრინციპით ახდენს მათ „მორიგებას“. მხედველობაშია ე. ტაილორის, ჯ. ფრეზერის, კ. ლევი-სტროსისა და სხვათა კვლევის მეთოდები, რომლებიც დაეხმარა დისერტანტს, გაეაზრებინა სვანური ფოლკლორი, როგორც უძველესი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის ცნობიერებისა და მუსიკალური გამოცდილების ნაყოფი, მისი ყოფის, ტრადიციების, მხატვრული და მუსიკალური აზროვნების პრინციპების, ფსიქიკის თავისებურებების გათვალისწინებით.

სვანური ტრადიციების განხილვამ ცხადყო, რომ სამონადირეო წეს-ჩვეულებები უაღრესად მრავალრიცხოვანი, მრავალფეროვანი, ხშირ შემთხვევაში უცნაური და, ერთი შეხედვით აუხსნელია. გაურკვეველი წარმოშობის წეს-ჩვეულებების ძირების ძიების პროცესში ყველაზე ხელსაყრელი მეთოდია შედარება სხვადასხვა ხალხებში შემორჩენილ მსგავს რიტუალებთან, რომელთა წარმოშობის მიზეზები მეტ-ნაკლებად ცნობილი ან გამოცნობადია. სვანურ სამონადირეო რიტუალებს, ხშირ შემთხვევაში, უტყუარი პარალელები მოეპოვება საქართველოს



სხვადასხვა კუთხისა და მსოფლიოს უძველეს ხალხთა წარმოდგენებში. ამ თვალსაზრისით, შესაძლოა, მსოფლიოს ხალხთა სამონადირეო ყოფის თავისებურებებში ჩვენი ზოგიერთი ტრადიციის გასაღებიც კი ვიპოვოთ.

მეორე მხრივ, სვანეთი და იქ მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფი მატარებელია ძალიან მაღალი დონის ხალხური კულტურისა, რომელიც წინაქრისტიანული რელიგიის ელემენტების შემცველი რწმენა-წარმოდგენების, წესჩვეულებებისა და მხატვრული შემოქმედების ნიმუშებთან ერთად, წარმოდგენილია ქრისტიანული კულტურის უმდიდრესი ტრადიციებითაც.

გარდა ამისა, კვლევის ობიექტი – სვანური სამონადირეო კულტურა, როგორც ინსტიტუციური მოვლენა, რთული, სინკრეტული ფენომენია, ხოლო „დალის ციკლი“ უძველეს სახალხო დრამად შეიძლება მოვიაზროთ, რაც მხატვრული აზროვნების საკმაოდ მაღალ დონეს მოწმობს.

ამის გამო, სვანურ საზოგადოებას ძნელია ვუწოდოთ პირველყოფილი, ან კაცობრიობის „ბავშვობის ასაკში“ მყოფი. კ. ლევი-სტროსის აზრით, ტექნიკურად განვითარებული ცივილიზაციისაგან ასეთი ხალხების კულტურებს პრინციპულად განასხვავებს ის, რომ ისინი ტრადიციის შენარჩუნებაზე არიან ორიენტირებულნი (ლევი-სტროსი).

თანამედროვე სოციო-კულტურული ანთროპოლოგიის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დისერტაციაში სვანური სამონადირეო მუსიკალური ფოლკლორი განხილულია, არა მხოლოდ როგორც ფენომენი, მოვლენა, არამედ გამოკვლეულია მისი სოციო-კულტურული გარემო, შემქმნელი საზოგადოების ცნობიერების თავისებურებები, სააზროვნო პრინციპები, ხასიათი, ფსიქიკა.

დისერტანტი, ეყრდნობა რა „თეორიებს აზროვნების შესახებ“,<sup>8</sup> სვანურ ტრადიციულ საზოგადოებაში განიხილავს კაცობრიობის ცნობიერების განვითარების

---

<sup>8</sup> Öðýçáð Ä. *Ç ëi ò ày ááò áü, Ì í ñëàà. È çäàðàëüñðàîi í í èèðè-âñêi é èèðáðòððü*. 1983.

სამ ეტაპს – მაგიურს, რელიგიურსა და მეცნიერულს და ადასტურებს, რომ სვანურ სინამდვილეში სახეხეა სამივე ეტაპის ელემენტები.

არსებული მასალის შესწავლის საფუძველზე ნაშრომში მოცემულია მსჯელობა სვანეთში კარგად შენახულ ტრადიციაზე, თუმცა ის, რაც შემორჩენილია, განხილულია როგორც მხოლოდ ფრაგმენტები, ერთგვარი „კუნძულები“, რომლებიც გარკვეული მოვლენების ირგვლივ იყრიან თავს. მათ შორის, სავარაუდოდ, ოდითგანვე მჭიდრო კავშირი იყო, თუმცა, ამჟამად, მათი ერთმანეთთან დაკავშირება ძნელია. ეთნოგრაფიული, ისტორიული, არქეოლოგიური, ენათმეცნიერული და ა.შ. მონაცემების გამოკვლევისა და მეცნიერული ვარაუდების საშუალებით, მკვლევარი ცდილობს, მოახდინოს მოვლენათა გარკვეული რეკონსტრუქცია. ამისათვის, კვლევაში ჩართულია ე.წ. ევოლუციონისტებში ფართოდ გავრცელებული „გადმონაშთების“ შესწავლის მეთოდი,<sup>9</sup> რომელიც კულტურის განვითარების ერთი სტადიიდან მეორეზე გადმოტანილ მოვლენას წარსულის ცოცხალ მოწმობად აღიარებს. დისერტაციის ერთ-ერთ ამოცანას XX საუკუნემდე მოღწეული გადმონაშთების მეშვეობით უძველესი სვანური კულტურის გარკვეული მოვლენების რეკონსტრუქცია შეადგენს.

ნაშრომში განხილულია სვანთა ცნობიერებაში დღემდე შენარჩუნებული თავდაპირველი კავშირები გარემომცველ სინამდვილესთან, განმარტებულია განსხვავება ე.წ. „ცხელ“ და „ცივ“ საზოგადოებებს შორის<sup>10</sup> და მოცემულია თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი სვანური საზოგადოებისა, რომელიც დღემდე რჩება „ცივ“ საზოგადოებად.

რაც შეეხება მუსიკალურ ტექსტს, მის კვლევაში ძირითადი დასაყრდენი მუსიკის სტრუქტურული კვლევის, ანუ წმინდა მუსიკალურ-ფოლკლორისტიკული

---

<sup>9</sup> Oàéëí ð Ý.Á. Ī àðâí áú ð í àý éóèúò óðà. Ì í ñêàà. «È çààðòàèüñòâí ï í èèðè -âñêí é èèðâðòðòðü », 1989.

<sup>10</sup> Èââè-Ñòðí ññÊ. [www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Lev-Str/22.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Lev-Str/22.php)

მეთოდებია, რაც, პირველ რიგში, მასალის შეკრებასა და დოკუმენტირებას, მის გაშიფრვას, კლასიფიკაციას, სისტემატიზაციასა და ანალიზს გულისხმობს.

## თავი II

### §1. სამონადირეო ტრადიციების სტრუქტურა

ნადირობა მრავალშრიანი ფენომენია და, შესაბამისად, მრავალმხრივი კვლევის საგანი, როგორც „სამონადირეო კულტურა“, რომელიც აერთიანებს ყველა სამონადირეო ტრადიციას: ნადირობასთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს, წეს-ჩვეულებებს და სამონადირეო ფოლკლორს. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მოიცავს ნადირობისადმი მიძღვნილ ხალხური ზეპირსიტყვიერებისა და მუსიკის ნიმუშებს.

შეიძლება ითქვას, რომ სამონადირეო კულტურაში ფოკუსირებულია სვანების – ერთ-ერთი უძველესი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის მიერ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სამყაროს აღქმის მოდელი: ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ირეკლავს სვანების აზროვნების, ფსიქიკის, რელიგიური ცნობიერების თავისებურებებს; სამონადირეო წეს-ჩვეულებები და რიტუალები გამოსატავს სვანების დამოკიდებულებას მორალის, ზნეობის, სამართლიანობის, სიკეთის, ბოროტების, ღალატის, ერთგულებისადმი, ერთი სიტყვით, ასახავს მათს ღირებულებით სისტემას; სამონადირეო ფოლკლორში კი აღბეჭდილია სვანების მხატვრული თუ მუსიკალური აზროვნება, რომელიც განივთვებულია ხალხურ ლექსებში, თქმულებებში, ზღაპრებში, მითებში, ანდაზებში, გამოცანებში, შელოცვებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სამონადირეო ფერხულებში. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სვანური სამონადირეო კულტურა წარმოადგენს, ერთი მხრივ, სვანების მსოფლადქმის მიკრო მოდელს, მეორე მხრივ კი – გარკვეულ სტრუქტურას, რომლის ელემენტები ერთმანეთთან მიზეზ-შედეგ

გობრივად დაკავშირებული. შესაბამისად, მისი კვლევითის დისერტანტი მიმართავს სტრუქტურალისტური კვლევის მეთოდს, რომელიც ფრანგმა ანთროპოლოგმა კლოდ ლევი-სტროსმა ეთნოსთა აზროვნებისა და მისი სოციო-კულტურული ცხოვრების შესასწავლად შეიმუშავა.<sup>11</sup> (იხ. სქემა გვ. 48)

სამონადირეო ტრადიციის შემადგენელი ორი ელემენტი – ხალხის რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები ყველაზე არსებითი, ფუნდამენტურია და მათგან მომდინარეობს დანარჩენი ელემენტები. ამასთან, ძალიან რთულია, თუნდაც, პირობითი სადემარკაციო ხაზის გაკვლევა ამ ელემენტებს შორის, რადგან ისინი მჭიდროდ ურთიერთქმედებენ და, ხშირ შემთხვევაში, ერთმანეთს განაპირობებენ. „განმაპირობებლის“ ფუნქციას რწმენა-წარმოდგენები იძენს, რადგან იგი, პირველყოფილი საზოგადოების ქვეცნობიერი შეგრძნებებიდან იღებს სათავეს და, ადამიანის მიერ გარემომცველი სინამდვილის თანდათან შეცნობის შედეგად ყალიბდება გაცნობიერებულ შეხედულებებად, რომლებიც, თავის მხრივ, წეს-ჩვეულებებში რეალიზდება. ამგვარად, ვირტუალური რეალობა, ადამიანთა წარმოსახვების სახით, ხალხის ცნობიერების ხარისხის ზრდასთან ერთად, ხელშესახებ რეალობად – კონკრეტულ წეს-ჩვეულებებად ყალიბდება, რაც, თავის მხრივ, ადამიანის მხატვრულ-ესტეტიკური აზროვნების ფორმირების პროცესში, ხალხურ შემოქმედებაში ნივთდება.

სტრუქტურალისტური ანალიზის მეთოდმა, რომლის ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში გამოყენების ერთ-ერთ პირველ ცდას წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენს, მკვლევარს შესაძლებლობა მისცა, გამოეყვინა სვანური სამონადირეო ეპოსის მრავალშრიანი ბუნება, დაედგინა ამ შრეებს შორის გენეტიკური კავშირი და შეექმნა მისი არსებობის სოციო-კულტურული კონტექსტის მეცნიერული სურათი.

---

<sup>11</sup> Èââè-Ñòðí ññÊ. [www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Lev-Str/22.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Lev-Str/22.php)

## **§2.1. ნადირობასთან დაკავშირებული უძველესი რწმენა-წარმოდგენები**

სამონადირეო ტრადიციებისა და მათი მხატვრული ხორცშესხმის – სამონადირეო ეპოსის განხილვისას ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრება, რომლის თანახმად ამათუიმ ხალხის კულტურის შემსწავლელი მკვლევარი, პირველ რიგში, უნდა შეეცადოს, ჩაწვდეს მისი აზროვნების თავისებურებებს. ნაშრომში უხვადაა მოტანილი ფაქტები, როგორც ლიტერატურიდან, ისე სვანი მონადირეებისა და მათი მემკვიდრეების, ასევე მომღერლების მონათხრობიდან, რომლებიც ახასიათებენ ნადირობის სვანურ ტრადიციას, და აცოცხლებენ სვანების მიერ შემონახულ, უძველეს რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, რომლებშიც არეკლილია ადამიანის დამოკიდებულება ბუნებასთან და მის განმკარგავ ძალებთან.

ნაშრომში განხილულია სვანების უძველესი მაგიური წარმოდგენები, როგორც „ჰომეოპათიური“ ანუ „მიმბაძეველობითი“, ისე „კონტაგიოზური“ ანუ „გადამდები“.<sup>12</sup>

რაკი პირველყოფილი ადამიანის ცხოვრება განუყოფელი იყო ნადირობისაგან, მაგიური „ოპერაციები“, პირველ რიგში, სწორედ ამ პროცესს დაუკავშირდა.

ნადირობასთან დაკავშირებულ სვანურ რწმენა-წარმოდგენებში აშკარაა ჰომეოპათიური მაგიის კვალი. ამის მაგალითია ე.წ. „სამონადირეო ენა“, რომელიც, მართალია, ამჟამად მხოლოდ აფხაზურ და ოსურ სამონადირეო ყოფაშია შემორჩენილი, მაგრამ სვანურ სინამდვილეშიც აშკარაა მისი არსებობის კვალი, რაც გამოიხატება სვანი მონადირეების მიერ სანადირო იარაღის, ნადირთღვთაების სახელისა და თვით ნადირის სახელის პირდაპირ ხსენებისაგან, მისი ოჯახის წევრების მიერ კი სანადი-

---

<sup>12</sup> ოძუცაძე ო. *Çi eti ò ày ààò àii, Ì î nêàà. Èçààòàèuñòàîr î î èèòè-âñêî é èè òâòâòòm* . 1983.

როდ წასვლის ფაქტისა და სანადირო ადგილების გაცხადებისაგან თავის შეკავებაში; ასევე ნადირობის წინ მონადირისა და მისი ოჯახის წევრების ინტუიციისა და სიზმრებისათვის განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში, რადგან, სვანების რწმენით, მათ წინასწარმეტყველური ძალა გააჩნდათ და მიუთითებდნენ მონადირეს, რომელ დღეს და რომელ მხარეს სჯობდა სანადიროდ წასვლა. ადამიანთა აზროვნების განვითარების ადრინდელ საფეხურებზე სიზმარი და სინამდვილე, ობიექტური რეალობის თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო. შესაბამისად, „მსგავსის მიერ მსგავსის გამოწვევის“ პრინციპის თანახმად, სვანი მონადირეებისათვის ცუდ სიზმარს ნადირობაში წარუმატებლობა მოჰყვებოდა.

„კონტაგიოზური“ მაგიის ამოსავალია იმ საგნებზე მოქმედება, რომლებიც მაგიური ზემოქმედების ობიექტს ოდესღაც ეკუთვნოდა, მაგ: თმებზე, ძვლებზე, რქებზე და ა.შ., ადამიანებს სჯეროდათ, რომ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში ხანგრძლივად მყოფი საგნები დაშორების შემდეგაც განაგრძობდნენ კონტაქტს და მათი მეშვეობით შესაძლებელი იყო ზემოქმედების ობიექტის მართვა. კონტაგიოზური მაგიის ძირითადი პრინციპი სვანეთის მაგალითზე გამოიხატება იმ უსულო საგნების ზებუნებრივი ძალების რწმენაში, რომლებიც ერთ დროს კონტაქტში იყო მონადირის „ზემოქმედების ობიექტთან“ – ნადირთან. სვანები განსაკუთრებით უფროთხილდებოდნენ ნანადირევის თავის ქალასა და რქებს, რომლებიც დღემდე მრავლად ამშვენებს მონადირის სახლის კედლებს; ნადირის ეშვებს ხშირად წარმატების მომტან „ამულეტებად“ აქცევდნენ და მუდამ თან ატარებდნენ.

აზროვნების განვითარებისა და თვითგამორკვევის პროცესის პარალელურად, პირველყოფილმა მაგიზმმა უკანა პლანზე გადაინაცვლა. მაგიას დაუპირისპირდა რელიგია, რომლის მთავარი დანიშნულება სამყაროს განმკარგავი ზებუნებრივი ძალების კეთილად განწყობა იყო ადამიანების მიმართ.

თუმცა, სვანეთში, ისევე როგორც სხვა ამ ტიპის საზოგადოებებში, ადამიანი ბოლომდე ვერ განთავისუფლდა მაგიური მსოფლშეგრძნებისაგან.

სვანური საზოგადოების ცნობიერების განვითარების ამ ეტაპს ავტორი, ა. მენის კვალდაკვალ, „რელიგიურ მაგიზმს“ უწოდებს.<sup>13</sup> როგორც ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, განვითარების იმ ეტაპზე, რომელზეც „მონადირე“ სვანები იმყოფებოდნენ, სახეზეა „რელიგიური მაგიზმის“ აშკარად გამოკვეთილი ნიშნები, რაც უძველესი რელიგიური მიმდინარეობების – ანიმიზმის, ტოტემიზმისა და ფეტიშიზმის, მოგვიანებით კი – დარგობრივ ღვთაებათა პანთეონის არსებობაში გამოიხატება.

ანიმიზმის თვალსაჩინო მაგალითია ნანადირევის ძვლების მოფრთხილების ტრადიცია სვანეთში. მისი ძირები, შესაძლოა, იმ უძველეს თქმულებაშია გაცხადებული, სადაც, ნადირთა პატრონები, რომლებიც მხოლოდ ხორციით იკვებებიან, ჭამის შემდეგ ნადირთა ძვლებს მათსავე ტყავში ყრიან, დაჰკრავენ მათრახს ან ჯოხს და კვლავ აცოცხლებენ. მონადირეებს მხოლოდ ასეთი, ერთხელ შეჭმული და შემდეგ გაცოცხლებული ნადირი ერგებათ.

ნაშრომში შესწავლილია სვანურ რელიგიურ წარმოდგენათა სისტემაში მაგიური ძალების ჯერ ცხოველთა სახით არსებობის, შემდეგ კი მათი ანთროპომორფიზაციის პროცესი. ქალღმერთი დალი, როგორც ცნობილია, მაქციაა და ჯიხვის ან თეთრი შუნის სახით ეჩვენება მონადირეებს. ეს ფაქტი სვანების ცნობიერებაში ტოტემიზმის კვალზე მიგვანიშნებს. განსაკუთრებული ცხოველების მიმართ სხვადასხვა აკრძალვათა არსებობაც აშკარად მეტყველებს ამ წეს-ჩვეულებათა იდეოლოგიური საფუძვლის არსებობაზე ტოტემისტურ წარმოსახვათა ნაშთების სახით.

კონტაგიოზური მაგიის პირდაპირ მემკვიდრედ მიჩნეულია ფეტიშიზმი, რომლისთვისაც ნანადირევის „ნაწი-

---

<sup>13</sup> I ãi ü A. Èñò î ðèÿ ðãèèãèè.Ò2 [www.gumer.info/bogosliv Buks/History.../Men.../Index.php](http://www.gumer.info/bogosliv Buks/History.../Men.../Index.php)

ლების“ „გაკულტება“, „ამულეტებად“ ქცევა და მათთვის წარმატების მომტანი თილისმის მნიშვნელობის მინიჭებაა დამახასიათებელი.

„რელიგიური მაგიზმის“ ერთ-ერთი გამოვლინებაა სამონადირეო ღვთაებათა დარგობრივი პანთეონი, რომელშიც ნადირთპატრონთა სახეების მრავალფეროვანი სპექტრია წარმოდგენილი, თუმცა წამყვანი ღვთაება ქალღმერთი დალია.

ნაშრომში მოცემულია დალის სახის ევოლუცია სვანურ ფოლკლორში. ნადირთპატრონის სახემ ადამიანის ცნობიერებაში მომხდარი ცვლილებების შესაბამისად, ცვლილება განიცადა ზოომორფული ტოტემის კულტიდან ვნების მომტან სულამდე.

ნადირთ მფარველი ნაყოფიერების ღვთაებასთან წილნაყარი სახეა, მისი ერთ-ერთი გამოვლინებაა. როგორც ჩანს, სატრფიალო მიდრეკილებებიც მისგან აქვს მიღებული. უფრო მეტიც: მკვლევართა აზრით, ნადირობის ღვთაებისა და მონადირის სასიყვარულო ურთიერთობა იმ დიდი მისტერიის ნაწილია, რომელიც დედა ქალღმერთის მითოსში ჩამოყალიბდა და ნაყოფიერების გამომწვევის აუცილებელ პროცესს განასახიერებდა.<sup>14</sup> როგორც ჩანს, მონადირესთან ურთიერთობა ააქტიურებდა ნადირთპატრონის ნაყოფიერებას, რომელსაც თავისი სამწყსოს გამრავლება ევალებოდა და ამიტომაც მიიღებოდა ამ კავშირისაკენ.

## **§2.2. ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანულ ეპოქაში**

ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელებას მთაში დიდი წინააღმდეგობები შეხვდა. ტრადიციულ ღირე-

---

<sup>14</sup> ამის შესახებ იხ. სისხარულიძე ქ. *კავკასიური მითოლოგია*. თბილისი: გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, 2006. ვირსალაძე ე. *ქართული სამონადირეო ეპოსი*. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1964.



ბულებებზე ორიენტირებული საზოგადოების აზროვნების პოლიტიკისტური წარმოდგენებიდან მონითეისტურზე გადასვლა რთული პროცესი აღმოჩნდა. ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბებულ ცნობიერებაში უცნაურად გადაიხლართა ძველი და ახალი მსოფლმხედველობა, რომელმაც წარმოშვა სინთეზური კულტურული ფენომენი. ამაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სვანები დღემდე ინარჩუნებენ მრავალმერტიანობის რწმენას.

ქრიტიანულმა ეკლესიამ, აღლო აულო რა ქართველი ხალხის ბუნებასა და ზნე-ჩვეულებებს და დარწმუნდა, რომ მის ცნობიერებაში ღრმად ფესვგადგმულ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებს მხოლოდ ცეცხლითა და მახვილით ვერ აღმოფხვრიდა, ძველი კერპების ადგილებზე ეკლესიების აშენება დაიწყო. იქ, სადაც ხალხი ადრე ნადირთ პატრონის მიერ დაღუპული მონადირის მოსაგონებლად ადიოდა, ახლა მღვდელს წმ. გიორგის ხატი აჰქონდა და ნადირთ პატრონის ადგილს თანდათანობით წმინდა მხედარი იჭერდა. გარდა ამისა, ქართულმა ეკლესიამ, სავარაუდოდ, XII საუკუნეში ნადირობისათვის წირვის „წესი“ კი შეიმუშავა, რომელიც ნადირობის დაწყების დღეს სრულდებოდა.<sup>15</sup>

საეკლესიო „წესში“ მონადირე დახმარებისა და შეწვევისათვის მიმართავს არამარტო ქრისტეს და მამაკაც წმინდანებს, არამედ ქალებსაც: ღვთისმშობელსა და თეკლა მოწამეს. თუმცა ქრისტიანი წმინდანებიდან ყველაზე ძლიერადაა შექმნილი სვანებს წმინდა გიორგი მიაჩნიათ. იგი სამონადირეო ეპოსში ფიგურირებს, როგორც ნადირთ ღვთაება, რასაც მოწმობს მონადირეთა ხალხური ლოცვები ნადირობის წინ და შემდეგ, ასევე სვანური სამონადირეო ლექსებისა და ფერხულების ტექსტები.

---

<sup>15</sup> კეკელიძე კ. *ახლად აღმოჩენილი რიტუალი ნადირობისა. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*. ტ. III, თბილისი: „სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, 1955.

ქრისტიანულ ეპოქაში სახე იცვალა ქალღვთაებამაც, რომელიც მატრიარქალური ეპოქის პირმშოა. პატრიარქატის ხანაში მის გვერდით ჩნდებიან მამაკაცი ღვთაებებიც. ქრისტიანობის ეპოქაში იგი თითქოს ქრისტიანულ წმინდანებს ემორჩილება, თუმცა დალი დღემდე რჩება სვანი მონადირეების შეუცვლელ სალოცავად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ეთნოგრაფიული ჯგუფის ორიენტირებას ტრადიციების შენარჩუნებაზე, მის ერთგულებას უძველესი რწმენა-წარმოდგენებისადმი, რომლებიც ქრისტიანულ აზროვნებასთანაა შეხამებული. ასეთი სინთეზი ძველი ხალხებისათვისაა დამახასიათებელი, სადაც ქრისტიანული მითოლოგიამ ვერ შეძლო ბოლომდე ჩაენაცვლებინა წარმართული მითოლოგია.

### **§3. ნადირობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები**

განვითარების ადრინდელ საფეხურზე ნადირობის პროცესი, რასაკვირველია, შეიცავდა მხოლოდ ისეთ ქმედებებს, რომლებიც აუცილებელი იყო სახმარი პროდუქტის (საკვების, ტყავის და ა.შ.) მოსაპოვებლად. ამ ეტაპზე ადამიანს ქვეცნობიერი შეგრძნებები მართავდნენ, მაგრამ, მოგვიანებით, ბუნების ძალების რწმენისა და მათ წინაშე შიშის გრძნობის გაჩენასთან ერთად, ნადირობა „წმინდა საქმედ“ იქნა მიჩნეული და მას დაუკავშირდა ასევე „წმინდა“ რიტუალური ქმედებები, რომლებიც, მონადირეთა შეხედულებით, დასახული მიზნის მიღწევის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა. სხვადასხვაგვარი შელოცვების წარმოთქმა, რიტუალების შესრულება თუ აკრძალვების (ტაბუს) დაცვა, რაც ნადირობის წინ წარმატების „საგარანტიოდ“ კეთდებოდა, დამთავრების შემდეგ კი – მაღლიერების გამოსახატავად, მონადირის მიერ გააზრებული იყო, როგორც სიწმინდის დაცვის აქტები, მაგიურად იყო გააზრებული და ისევე აუცილებლად

მიიჩნეოდა, როგორც ისრის ტყორცნა, შუბის კვრა, ანკესის გადაგდება და სხვა.

სამონადირეო წეს-ჩვეულებებში ასახულია სვანების დამოკიდებულება მორალის, ზნეობის, სამართლიანობისადმი და ა.შ., რაც, პირველ რიგში, სწორედ ნადირობის „წმინდა“ საქმედ მიჩნევასა და მასთან დაკავშირებულ ქმედებებში გამოიხატება.

სვანეთში, ნადირობასთან დაკავშირებული „აკრძალვები“ სჭარბობს „დასაშვებ ქმედებებს“. ესაა ერთ-ერთი გამოვლინება სიმპათიური მაგიისა, რომელიც შედგება, როგორც პოზიტიური, ისე უარყოფითი მითითებებისაგან, ანუ აკრძალვებისაგან. „პოზიტიური მაგიის მიზანია გააკეთოს ისე, რომ სასურველი მოვლენა მოხდეს, ნეგატიური მაგიის ანუ ტაბუს მიზანია, გააკეთოს ისე, რომ არასასურველი მოვლენა არ მოხდეს. თუმცა, ორივეს შედეგს ადგილი აქვს ჰომეოპათიური და კონტაგიოზური მაგიის კანონების შესაბამისად“.<sup>16</sup>

სვანურ სამონადირეო პრაქტიკაში, აკრძალვები უკავშირდება: ქალის, ნადირის, სანადირო იარაღის, სანადირო ადგილებისადმი დამოკიდებულებასა და მიცვალებულის კულტს.

**ქალთან** დაკავშირებული ტაბუ, რომელსაც სვანები განსაკუთრებულად იცავენ, დასტურდება მსოფლიოს მრავალი ხალხის ტრადიციებში. იგი გამოიხატება მონადირის მიერ ქალთან ურთიერთობისაგან თავის შეკავებაში ნადირობის წინ გარკვეული დროის მანძილზე. ეს განსაკუთრებით ეხებოდა ორსულ, ახალნამშობიარებ და ე.წ. „ურწყულ“ („დედათა წესის“ მქონე) ქალს, რომელსაც ეკრძალებოდა ნანადირევთან შეხება, მისი ჭამა და შეხედვაც კი.

ამ ჩვეულების ძირები მომდინარეობს ქალის, როგორც სუსტი და თავისი „სენის“ გამო – არაწმინდა არსებისადმი დამოკიდებულებიდან, რომლის ეს თვისებები

---

<sup>16</sup> Ödýçâð Ä. Ç ėř ð äý áâð áü, Ì î ñêââ. È çâ àðââüñðâî ï î èèðè-âñêî é èèðâððððñ. 1983.

კონტაგიოზური მაგიის პრინციპის თანახმად, შესაძლებელი იყო, მონადირეს „გადასდებოდა“.

ძველი გადმოცემების მიხედვით, ნადირთ პატრონისა და მონადირის ურთიერთობაში მნიშვნელოვანი როლი ეჭირა მონადირის ოჯახის დიასახლისს, რომლის მოქმედებაზე იყო დამოკიდებული ღვთაებისა და მონადირის ურთიერთკავშირის შედეგი. ხშირ შემთხვევაში, ეს შედეგი სავალალო იყო დიასახლისის ეჭვიანობისა და, ხშირად, მეტოქეზე – ნადირთ პატრონზე შურისძიების გამო. სავარაუდოდ, ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი ქალის, როგორც უარყოფითი ნიშნის მატარებელი არსებისადმი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას სამონადირეო ყოფაში.

მეორე მხრივ, ნადირობასთან დაკავშირებით, ნაშრომში დამოწმებულია ფაქტების მთელი რიგი, რომელიც „დედაკაცისადმი დადებითი განწყობის აშკარა ბეჭედს ატარებს“.<sup>17</sup> კერძოდ: ქალი მონაწილეობდა ლოცვებში ნადირობის წინ და შემდეგ; დედა ან ცოლი აცხობდა რიტუალურ პურს მონადირისათვის, იგი ხვდებოდა პირველად სანადიროდ მიმავალ კაცს მარჯვენა მხრიდან და ლოცავდა მას და ა.შ.

ნადირობასთან დაკავშირებულ ტაბუირებულ ქმედებებს შორის, ერთ-ერთი უძველესი და საკმაოდ გავრცელებულია, მონადირის დამოკიდებულება თვით **ნადირთან**.

სანადიროდ სვანეთში უმთავრესად შემოდგომაზე დადიოდნენ; საყოველთაოდ იკრძალებოდა ნადირობა გაზაფხულზე – ნადირთა შობადობის დაწყებისთანავე; ასევე აკრძალული იყო იმაზე მეტი ნადირის დახოცვა, ვიდრე ეს დადგენილი იყო უხუცესი მონადირეების მიერ. სვანეთში ერთ ჯერზე მხოლოდ სამის მოკვლა შეიძლებოდა.

ნადირობის აკრძალვა ცხოველთა შობადობის პერიოდში და ნადირის „რეგლამენტირებული“ ხოცვა მეტად

---

<sup>17</sup> რობაქიძე ალ. *კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში*. თბილისი: „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა“, 1941.

მნიშვნელოვანი ჩვეულება იყო ტყის ბუნებრივი რესურსის – ცხოველთა პოპულაციის შენარჩუნებისათვის. იგი მომდინარეობს ზოგიერთი გარეული ცხოველის (დათვი, მგელი, ვეფხვი და სხვა) მიმართ არსებული ტაბუდან, რაც, თავის მხრივ, ტოტემური წარმოდგენების გადმონაშთების არსებობასა და მათ სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს. ასეთია, მაგალითად, მოკლული ნადირის პატივისცემის ჩვეულება. ეს ჩვეულება ვრცელდებოდა ისეთ მტაცებლებზე, რომლებიც თავისი ზომით, ძალით, მოხერხებულობით საფრთხეს უქმნიდნენ ადამიანებს და, ამის გამო, განსაკუთრებულ შიშს იწვევდნენ მათში. ასეთ ნადირს მონადირეები ძალიან ერიდებოდნენ, მაგრამ თუ იგი ემუქრებოდა მოსახლეობას და მისი მოკვლა აუცილებელი ხდებოდა, ანდა, თუ ის, შემთხვევით, მონადირის მსხვერპლი შეიქნებოდა, მის წინაშე ბოდიშის მოხდა და დატირება იყო საჭირო.

ტაბუირებულ ქმედებებს შორის, სვანურ სამონადირეო პრაქტიკაში, აქტუალურია **მიცვალებულთან** დაკავშირებული ქმედებებიც. ოჯახიდან, რომელიც წევრს დაკრძალავდა, ერთი წლის მანძილზე არავინ უნდა წასულიყო სანადიროდ; იგივე წესს ემორჩილებოდა მონადირე, რომელიც მიცვალებულს შეეხებოდა ან საფლავის გათხრაში მიიღებდა მონაწილეობას. ნადირობისაგან თავს იკავებდნენ თანასოფელელის გარდაცვალებიდან დაკრძალვამდეც; გამონაკლისი დაიშვებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სოფელს შუაში მდინარე ჩამოუდიოდა: ამ დროს აკრძალვა ვრცელდებოდა სოფლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელშიც მიცვალებული იყო.

მსოფლიოს ხალხთა ყოფაში დამოწმებული ანალოგიური ჩვეულება მიცვალებულის სულის შიშს უკავშირდება, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მიცვალებულთან დაკავშირებული ტაბუ სვანეთშიც ანიმისტური აზროვნების გადმონაშთია.

„ტაბუს“ განეიტრალებას სვანები წყლისა და ცეცხლის ძალით ცდილობდნენ.

#### **§4. სამონადირეო ტრადიციების ასახვა სვანურ მუსიკალურ ფოლკლორში**

სვანური სამონადირეო ტრადიციები წარმოადგენს ხალხური მუსიკალური შემოქმედების სოციო-კულტურულ კონტექსტს, რომელშიც ფოკუსირებულია ნაშრომში განხილული რწმენა-წარმოდგენები და წეს-ჩვეულებები.

